

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მღწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროზა“.

გაზეთის-ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროეპი

ჯომალ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსხვავებისა: დიდი ასო-ებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივი კერული—5 კაპ. მცირე—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შემოკლოს და საბეჭდად გამოგზავნილი სტატეები. დაბეჭდული სტატეები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მღწერა

„დროეპი“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дროзა“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 იელისიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილთ—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 3 სექტემბერს. სიმლიდამ მოვიდა ტელეგრაფმა, რომ ავღანის ჯარები ჯალალაბადისაკენ მიდიანო. ინგლისის ჯარები ოც-და-ხუთი დღის შემდეგ დაიწყებენ სამხედრო მოქმედებას; შირის სთხოვენ, რომ აჯანყებულების დამშვიდებაში იმანაც მიიღოს მონაწილეობა, რათა თვითონაც ნახოს—თუ როგორ დასჯილნი იქნებიან, ინგლისის საელჩოს ამოხრაცვისათვის, აჯანყებული ავღანელები.

კეთილბუნების ბირჟა, 29 აგვისტოს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 94—50
მეორე — — —	— 93—38
მესამესი — — —	— 93—62
მეოთხესი — — —	— 93—37
აღმოსავლეთის პირ.	— 91—87
აღმოსავლეთის მეორე	— 91—75
აღმოსავლეთის, მესამე	— 92—
ოქრო, 1/2 იმპერიალი	— 7—84

თფილ. თავაღ-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

მან. კაპ.

პირველი სესხის — —	— 233—25
მეორე სესხის — —	— 229—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — 24—94 პენსი

ბანკური — —	— 126—25 ცენტი
პირველი — —	— 264—25 სანტიმი
მეორე — —	— 214—25 პენინგი
დავეკისის კერასინი — —	— — —

კეთილბუნების, 2 სექტემბერს.

მეორე შინაგანი სესხის ტირაჟში, რომელიც ამ 1 ენკენისთვეს მოხდა, უმთავრესი მოგება შემდეგ ბილეთებს ხვდათ: № 10 სერიისა № 10 ბილეთისა ჯამი მოგებისა

705 48	200,000 მ.
15,260 9	75,000 „
1,465 7	40,000 „
15,140 11	25,000 „
9,249 48	
11,879 22	10,000 „
9,403 31	
8,256 22	
8,570 34	
8,947 42	8,000 „
176 19	
6,846 20	
11,123 39	
16,666 7	
94 16	5,000 „
19,687 50	
19,340 49	
15,877 26	
14,055 3	
15,121 14	
4,103 23	
14,650 35	
10,456 28	1,000 „
19,012 20	
3,419 4	
19,145 15	
16,595 43	
5,762 41	
9,486 47	
18,910 36	
10,412 36	
14,046 47	
13,336 42	
1,906 26	
1,965 24	
4,525 36	
7,089 25	
13,947 29	
9,479 16	
8,119 6	

სექტემბრის პირველ რიცხვებში. მოგზავნილი ხალხე მშობლები თავის პაწაწა ბოგმეებითურთ, რომლებს მიცემა სასწავლებლებში სულითა და გულით უნდათ, მაგრამ დიდი ნაწილი ამ სწავლის წყურვილით საესე ხალხისა უკან გაწილებული მიდის.

ათასნაირი ფიქრი უტრიალებს მშობლებს, რომელთაც შეილება ველარსად შეიყვანეს: ბევრი მათგანი სასწავლებელთა იღებში ჩაეარდნილი ბრუნდება სახლში, რადგან ჰხვდას, რომ მისი შვილის საქმე სამუდამოთ წამხდარია სწავლის მიუღებლობის გამო.

ამ დროს ბევრს რასმე გაიგონებს კაცი გულგახეთილ მშობლებსაგან, რომელიც უყურადღებოთ არუნდა იქნეს დარჩენილი.

მოდის დაღონებული მოხუცებული კაცი და ორი პაწაწა ბოგმე უკან მოჰსდებს. მას წინ შეჰხვდება ნაცნობი და ჰკითხავს:

— რა ჰქენით, მოაწყვეთ ქმაწვილების საქმე?

— მეტი უენი მტერი არაა! რას გაჰხდები? ისეთი დროა ახლა, რომ ხეირი არ შეიძლება იქნეს.

— როგარ? რათ ემღურებით ამნაირათ ახლანდელს დროს?

— ახლანდელი დრო უფრო წინ არ არის წინანდელზე?

— რით არის წინ? იგივე სიღარიბე, იგივე ქრთამი, იგივე ძლიერის გამარჯვება და სუსტის დაჩაგვრა. სწავლა მართო მდიდრებისთვისაა, სასწავლებლების კარები გაღებული არიან მართო მდიდრების შეიღებისათვის. რას იზამს ღარიბი კაცი? შული არა გაქვს და შვილს ვერ მოიყვან ქალაქში, რომ მოამზადებინო ვისმე კარგათ, რისთვისაც დიდალ ფულს ითხოვენ. სოფლებში ჯერ არ გვეღირსა ისეთი შკოლები, რომლებსაც შეეძლოს ამ მხრით დახმარება ჩვენი ხახდისხან მოამზადებულ ბოვსაც მიიყვან ხალხე, მაგრამ სამართლიანათ არ ექცევიან გამოცდის დროს და უკან გიბრუნებენ. მექრთამეობა არ არის ახლა, როგორც ძველათ იყო, ვინა ჰსთქვა ეს? მექრთამეობა ახლაც არის, მაგრამ სულ სხვანაირი ფორმით. ახლა უფრო დახელოვნებულათ იღებენ ქრთამს; ისე იქცევიან, რომ არც მწვადი დაჰსწვან; არც შამფური. სახელმწიფო სასწავლებლების მასწავლებლები თვითონ იყვანენ ქმაწვილებს მოსამზადებლათ, ამისთვის დიდ ძალ ფულს იღებენ მშობლებისაგან და მერმეტ ჰცილილობენ მაინც და

საქართველო

სამღურაპი ზოგიერთ მასწავლებლებზე.

თქმის ვერსოდეს ვერ ნახავთ მუთაიში იმდენ სოფელ მცხოვრებლებს, როგორც აგვისტოს უკანასკნელს და



მინც თავის მომზადებულნი ყმაწვილები მიაღებინა; თვითონვე გამოდიან მისაღებათ და თვითონვე კარგ ბალებს უსწამენ, სულ ერთია—იცის რამე თუ არა, რადგანაც მათთან ჰსწავლობდენ ყმაწვილები. ბევრი მაგალითი მომხარა, რომ მოზობლებს კერძო მიუყვანიათ ბოვშეები მოსამზადებელი კლასის მასწავლებლებთან სადგომზე ერთი ათი დღით წინეთ. — „მამოსცადეთ ჩვენი ბოვშეები დაიჭერენ ეგზამენს თუ არაო.“ მასწავლებელს გამოუყვლია ყმაწვილები და უთქვას: „პრაფერი არ იციანო.“ მაგრამ, როცა კაიძალი ფული შეუძლოვით მოზობლებს მასწავლებლისთვის, მასწავლებლებს ყმაწვილები აუყვანია ათი დღის ანუ ერთი კვირის ვადით (?) სულ არაფრის მცოდნე, როგორც ამბობენ, მოუშვადებიათ და მიუღებინებიათ. ასე მოქცევა ქრთამის აღება, მაშ რა უბედურობაა. შორმას ვითომ კეთილშობილურს აძლევენ თავის მოქმედებას, ვითომ შრომისთვის აიღეს, მაგრამ სამართლით რომ ჰსთქვას, ბოვშეების კერძო მომზადება იმ მასწავლებლისაგან, რომელთანაც უნდა შევიდეს კლასში ბოვშეი, რიგი არ არის, თუ ესვე მასწავლებელი გამოცდის თავის მომზადებულ ბოვშეს, სხვა მასწავლებლების და მასწავლებლის უფროსის მხრით მკაცრ ზედამხედველობას მოკლებული. დიდი ზარალი მოაქვს ამნაირ მოქმედებას, ჩემის შეტყობილობით. პირდაპირ ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ მოსამზადებელ კლასში და პირველში ბევრი ბოვშეი შედის; მაგრამ იმათგან მცირე ნაწილი გადადის შემდეგ კლასში. თუ ბოვშეი გამოცდაში ჰსწინან ნიჭიერათ და მომზადებულათ, რატომ ვეღარ შეჰძლივია მასწავლებელში შესვლის შემდეგ სწავლის ხერხიანათ გაკრძობა და შემდეგ კლასში გადასვლა? მაგრამ არა, ბევრი უნიჭო და მოუშვადებელი შეჰყოფს ხალხმე თავს ფულებისა და უსინდისო მასწავლებლების წყალობით. ანდა თუ გამოცდა ეშმაკურად და ყალობად არ ჰხდება და ნიჭიერ, მომზადებულებს ჰღებულობენ, მაშინ, მაშინ მასწავლებლები გამოდიან დამნაშავეებათ; ისინი უნდა ჰხარმაცობდენ და არას აკეთებდენ...

ნაცნობი გაჩუმდა. ისიც დააფიქრა ამ გარემოებამ. მეც იქ გახლდით და ვყურობდი ბაასს. მს პირველი შემთხვევა არ არის; ბევრჯერ გამიგონია მოზობლების ამნაირი გოდება და ყოველთვის იმედო მიმიცია თავისთვის, რომ მომავალში გასწორდება საქმე სამასწავლებლო მთავრობის მხრუნველობით თქო, მაგრამ ჯერ იმედი კიდევ იმედათ ჰრჩება და საქმით არა ჰკეთდება; ჯერ კიდევ ხშირათ ვხვდებით მასწავლებლებათ და მასწავლებლის უფროსებათ სინდის მოკლებულ კაცებს.

მოხუცმა კიდევ ჰსთქვა.

— აი ეს არის ახლა ერთი ჩემი ნაცნობი მელაპარაკებოდა ერთს ამბავს, რომელიც გუშინწინ ყოფილა. მე არა ვითარი საფუძველი არა მაქვს არ ვერწმუნო იმ ჩემ ნაცნობს. თურმე მისულა

აქურ გიმნაზიის თუ პოლიტექნიკის (კარგათ არ მახსოვს) მომზადებელი კლასის მასწავლებლებთან სადგომზე. მასწავლებლის ოთახში გრუკი ასეკა ბოვშეები და ელაპარაკება, დარაკება ძღვეს, მენ ეს და ეს მოამზადო, ააა, აააას გკითხავო და შენ ეო. მაწავლებლის წინ სტოლზე კი ფულები ყოვილაყო დაგროვებული, რომელთაც მაწავლებელმა თურმე უყებ ჰსტაცა ხელი, როცა დანახა ჩემი ნაცნობი მასთან შეშავალი, მაგრამ სულერთბათ ყველა ვეღარ აიღო, დარჩა სტოლზე და ჩემი ნაცნობის თან დაწვრიბით ეს დანარჩენიც გავხვანა, საცა ჯერ არს. თუცა ამდროს ცოტა სიწითლქმ გადაჰკრა პირის სახეზეო, მაგრამ ძალე ჩვეულებრივ ფერში ჩადგა, რადგან იმ მასწავლებელი არ ეკუთვინის თავის სინდისის შებღალვაში გამოუცდელებსო, და ჰათქვაო: „რაქნა, შენაწუხეს ამ ბოვშეებმა და რას იზამს კაციო? უნდა შევიდეს ამთ მდგომარეობაშიო.“ ამდროს თურმე კაცი შევიდა მასწავლებელთან, ცლაცის გამოგზავნილი, და შეუტანა კიდევ კონვერტით ფულები.

მე მთხოვეს ამ პარებმა მათა ბაასი საზოგადო ნაცნობლათ დავსწერო და ამით გამოვიწვიო ერთი ამ მოზაანთაგანის ნაცნობი, რომელსაც უნახავს სტოლზე გროვა ფულებისა, ფულაი კონვერტი, მასწავლებელი თავია სადგომზე ბოვშეების დამრავებელი ეგზამენისთვის, რომ მან გამოამკარავოს ამისთანა ბოროტ მოქმედება, სწავლა წყურვილის ვაჭრობათ ჯიბეების ტენა. პითი ის დიდს სარგებლობას მოუტანს მთელს მასწავლებელს და მთელს მხარეს. ჩვენც გავიგებთ, თუ ნამდვილია, რაც საძაგელი ხმები მასწავლებლებზე დადის, და სამასწავლებლო მთავრობაც. იქნება მასწავლებლები არაფერ შუაში იყვნენ და ტყვილი ჰხრალდებოდესთ. მე თვითონ მიყურებია ფულების აღება, როგორც ზევით მოგახსენეთ, მაგრამ ბევრისაგან გავიგონე, რომ ამბობდენ და ნამდვილის შესატყობათ ვამჯობინე მე არ გაჩუმებულყო.

მე ჩემის მხრით ერთს მოგახსენებთ: რა არის რომ, როცა მისაღები ყმაწვილები ეგზამენზე შეჰყავთ და უშვებინან ეგზამენს, ყმაწვილების ჰარისუფლებს არ შეუშვებენ იქ და არ აყურებინებენ? ახლანდელს დროში კაცის მკვლელს ასამართლებენ და მთელ სახელმწიფოსთვის რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იმისთანა საქმეებს არჩვენენ სასამართლოებში საქვეყნო გასაგებათ და ყმაწვილების გამოცდას რომ უყურონ მათმა მოზობლებმა და ჰირისუფლებმა რათ უშლიან? რატომ კარდაკეტილში ხდება ეს საქმე? რაც დაფარულათ ჰხდება, რასაც სინათლეში გამოჩენა ეხარება, ის ვერ ვიტყვით რომ უმანკო იყოს. იქნება იმას მაერიდებიან, რომ ყმაწვილებს მათმა ჰარისუფლებმა ჩურჩული არ დაუწყონ და ჩუმათ მოხმარება ეგზამენში? ამას არც იკადრებენ მოზობლები და სხვანი, ვინც ახლავან ყმაწვი-

ლებს, და კიდევ რომ ენებენ, რადგან ამისთანა საქმე, ადვილია უფრო სამართლიანი ზომა სხვა მოსამართლეებთან ერთად ბრალთ საზოგადოთ ყველანი არ იყვნენ მოკლებული იმას, რომ მათ შეილებოთ საქმეს თვალ-ყური აღევნონ.

მინც უნდა ვიყო
მ. შუთაისი, მ სექტემბერი.

დღიური

* ჩვენ გვთხრეს, რომ თვითისის სასულიერო სემინარიაში წელს სულ ორმოც ყმაწვილამდინ მიუღდათ ეგზამენების შემდეგ სხვა-და-სხვა სასულიერო მასწავლებლებიამ.

* ნეტავი ვაცოდეთ—რა მდგომარეობაშია შუთაისის სასულიერო სემინარიის განხრის საქმე. ამ სამი-ოთხი წლის წინათ შუთაისის გუბერნიის სამღვდლოებსა კრებაზე გადაწყდა, რომ მუდამ წელიწადს მოაგროვონ სემინარიის გასამართავად ფულები, დაიწყეს კიდევ მოკროვება; მაშინ გახეთქშიაც იყო ამანზე ბევრი ლაპარაკი; მაგრამ მას აქეთ როგორღაც ჩაჩუმდა და სრულიად აღარა ისმის-რა.

* თქალეილამ გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში იქ ორჯერ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა. პირველად წარმოუდგენიათ უფ. პ. თუთაივის კომედია „ცოლი ვიტირო, თუ ფული“ და მეორედ უფ. შულინოვის კომედია „დღალღ ღალღ“. შემოსავალი ამ წარმოდგენებილამ, როგორც ჩვენს გახეთში იყო გამოცხადებული, ქართველ ღარიბ სტუდენტებისათვის ყოფილა დანიშნული.

* იქერეთილამ გვატყობინებენ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ იქითკენ საშინელი ქარაშხალი (ხენა ქარი) ყოფილა და ამ ქარს ბევრი ზიანი მიუტია ნამუშევრისათვის; სიმინდი და ღობი დაუწვნია მიწაზე და გაუხშია. სიმინდის მოსავალს იქერეთისაკენ მინც სამყოფად მოეღიან წელს; მხოლოდ ღვინის მოუსვლელობა ძალიან აწუხებს ხალხსაო.

* სოფ. ახალგორილამ გვატყობინებენ, რომ იქაურს მღვდელს სამასი მანეთი მოუგროვებია შკოლის გასამართავად; ამ ფულით ერთი ძველი სახლი უყიდნია და გადაუკეთებინებია შკოლისათვის. ამ შკოლაში ამ ჟამად 50 ვაჟი სწავლობსო; მოსწავლე ქალები კი ამ პატივცემულ და საქმე მღვდელს თავის ნაქირავებ სადგომში გარდაუყვანია და იქ ასწავლისო.

* მსურვეთილამ გაზ. „დავკაზში“ იწერებინან, რომ ორი უმთავრესი ქურდები, ალექსი სარჯვალდიე და ჩითანა ჯორბენიძე, რომელთაც 26 ივლისს გაცარცვენ შუთაისის ეპისკოპოსი, გასუ-



ლი აგვისტოს 26-ს უნახავთ ორივე მოკლული ჯუმათის მთასთან სწორეთ იმ ადგილას, საცა ამ ოთხი წლის წინათ იმათ ერთი გურული გლეხი ნიკო იქედნიშვილი მოჰკლესო. ამ მოკლულ ავაზაკების მახლობლად უნახავსთ ქალღვრებით სავსე ყუთი, რომელიც ებისკოპოსის სახლში მოგვარათ იმათ.

„დროების“ კორესპონდენცია

ჯამახმთილამ, 28 აგვისტოს. ამ რამდენიმე დღის წინათ, როდესაც ახალქალაქის მაზრის სოფელს დილისკის მცხოვრებნი სამხეობი თივას სთიბდნენ ზორის უეზღში, მდინარე ძკიას პირზედ, საციციანო მამულებში; აქ ორ ადგილას ამ სამხეობს და ერთ ქართულს დაეცნენ თათრები, ერთი დილისკელი სამხეობი მოჰკლეს და უღელი კამბეჩი და სამი ხარი გაირეკეს. ამავე დროს ხუთ ვერსზედ, ამავე მამულში ერთი ქართველი სოფელს მოთელიას მცხოვრებნიც ტიმოთე ზურაბოვი გაცარცვეს, წაართვეს უღელი ხარი, ნაბადი და სხვა.—

მს შემოხვევა რომ გაიგო უფ. ახალქალაქის მაზრის უფროსმა ჩეხოვსკიმ თავის უპრავლენიის ჩინოვნიკს თარჯიმანს ა. ბერიძეს გაუგზავნა მიწერილობა, ამ მკვლელების აღმოჩენისათვის. უფ. ბერიძემ მიღებისამებრ, ფაცხლა წავიდა და შეიარაღებული; პირველათ მივიდა სადაც მკვდარი იდგა, გამოძიება მოახდინა, რადგანაც ზორის მაზრაში იყო, ყარაულები დააყენა, ჩეხოვსკის მისწერა, რომ ზორის მაზრის უფროსისათვის ტელეგრაფით ეცნობებინა; თვითონ კი ერთი კარგი ყოჩალი ბერძენი სოფელს ხუმზრის მცხოვრები ზირაგე ლაზაროვი და ერთიც თათარი სულეიმან ოქმურ-ოღლი წაიყვანა, გამოუდგა ავაზაკებს ფეხ-და-ფეხ მიჰყა, დიდხანს ერთი-ერთმანერთ ეომნენ, ბერიძეს ძლივს სიკვდილს გადაურჩა, დააყრევინა ყაჩაღებს კამბეჩები და ხარები, ღამე ბნელაში გათენებამდის სდია ყაჩაღებს, ერთი დიჭირეს სახელად მაჰმად მოლა-ირ-ზა-ყული-ოღლი, პიბოლის თოფით, დანარჩენი ყაჩაღები ორიალეთის მთებინსაკენ ერთ მხარეს შეიმწყვდია; აცნობა ორიალეთის პრისტავს შსეინ-ალას და შულაგრის ადმინისტრაციის განყოფილების უფროსს ომაროვს, რათა მიშველებოდნენ ბერიძეს ავაზაკების დასაჭერად. მანამ პრისტავი მივიდა უფ. ბერიძემ უყარაულა ყაჩაღების, კვალი არ დაჰკარგა.

თუმცაი ორიალეთის პრისტავი მივიდა, მაგრამ ბერიძეს შემწეობა ვერ მისცა, ქურდები გაიქცნენ.

უფ. ბერიძეს, რადგან ცხენოსანი ცოტა ჰყავდა, ხარ-კამეჩი ახალქალაქს გაგზავნა, დაჭერილი ყაჩაღი ბორკილებით ორიალეთის პრისტავს ჩააბარა; პრისტავმა წაიყვანა და, როგორც ამბობენ, ეს ავაზაკიც გაექცა.—ყაჩაღები სიღნაღის მაზრისა, მულანლოელი თათრები, და

ორიალეთის პრისტავის ყარაულები ყოფილან.

უფ. ბერიძე ორიალეთის საპრისტავოდგან, როცა უნდა დაბრუნებულყო, ერთი ცხენოსანი ბერძენი მარტო დარჩა, გაიგო, რომ ოცდა ხუთმა ცხენოსანმა თათრებმა მოუჭრეს გზა; ეს ამ გზაზე აღარ დაბრუნდა გადავიდა არტყვის მთიდგან ბუჯარეთში, აქედან ბორჯომის ტყეში და ისე ბორჯომის მთით ჯავახეთში გადმოვიდა. ამავე დროს ხუმზრისელმა თათრებმა სულეიმან ოქმურ-ოღლმა, რომელიც ბერიძესთან იყო, და ამ უკანასკნელმა ხარები გადმოარეკინა ახალქალაქში, გაიგო, რომ ოცდა ხუთი ცხენოსანი ბერძენი უნდა დაუხვდეს წალკის გზაზედა, რამდენიმე სამხის ცხენოსანებით, წავიდა მისაშველებლად, ყაჩაღები დახვდნენ ოქმურ-ოღლის, ასტყენეს ერთი ერთმანეთში თოფის სროლა; იგრძნო ოქმურ-ოღლმა რომ ბერიძის მაგიერათ ყაჩაღები მას მოჰკვლენ, მაშინ დაუძახა თათრებს: მე რას მერჩითო? ბერიძე აქ არ არისო. ყაჩაღებმა თავი დაანებეს.

წერაკუნტელი.

საბაასო

პასუხი თელაველ კორესპონდენტს

უფ. რედაქტორო! თიბათეში თქვენი პატივცემულ გაზეთის „დროების“ მე-120 №-ში იყო დაბეჭდილი თელავიდან ერთი უბადრუკი კორესპონდენცია, რომელშიდაც ავტორი ერთობ თამამად გვერდს უფლის ჭეშმარიტებს, თხზავს სხვა-და-სხვა გარემოებებს და ამნაირად ამდაბლებს საზოგადოების და მმართველობის თვალეში ავტორიტეტს ერთი იქაურის პედლოღისას, რომელიც, როგორც სჩანს, არ მოსწონს მას სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო.—

დასამტკიცებლათ ჩემგან ზემოთქმულ სიტყვებისა, ანუ ჭეშმარიტების აღდგენისათვის, ვთხოვთ, უ. რედაქტორო, მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში ამ ჩემს პასუხს, რომელიც უეჭველად ამოაჩენს, ვის მხარეზეა სიპართლე.

თელაველებისთვის ძნელი გამოასაცანი არ არის, ვის ენება ეს კორესპონდენცია: სამოქალაქო მასწავლებელი, რომელიც გიმნასტიკას ასწავლის და რომელმაც ქალების სასწავლებელში გეოგრაფია აიღო, მე გახლავარ; აქ დასამალავი არაფერია.—

წავიკითხე თუ არა, ყოვლად დიდებულო ავტორო, თქვენი კორესპონდენცია, მაშინვე ელვით გამიარა თავში იმ აზრმა, რომ საზოგადოთ კორესპონდენტი, როგორც კაცნი, განიყოფებიან ორ კატეგორიათ: პირველად ისინი იქმნებიან სინიღისიანი და ზნეობითი განურყენელნი და მეორეთ უსინიღისიანი და ზნეობით გარყენილნი; როდესაც პირველი კატეგორია რამეს

სწერს, მას არაოდეს კარგად უნდა სხეში არა აქვს: ის ქრისტიანულად კითხვებს, ხატავს მარტო ჭეშმარიტებას საზოგადოების ცხოვრებაში და იმ დასკვნას, რომელიც იქედან გამოიყვანება; არც გაზეთი გახლავთ ნიადაგი ხნვა-გვარი თესლებისთვის. ჩვენდა საუბედუროთ, ამისანა კორესპონდენტები ძალიან ძვირია თელავში და ეჭვიარ არის, რომ უფ. ავტორს მათ ახლოსაც არ გაუყვლია. როდესაც მეორე კატეგორია კიდებს კალამს ხელს, მას სახეში აქვს სულ სხვა მიზანი: ან ლიტერატურაში ფენი ჩაადგას რამე ნაირად და ამით თავის სულელური დიდების მოყვარულობა დააკმაყოფილოს; ან როგორიმე სიბილწე, ჩირქი და ტალახი მოაცხოს თავის მოყვასს, რადგინ უკანასკნელ ფარისევლობას და ლაქიობას არ ეწყობა მასთან და იქცევა თანახმად იმ ანდასისა, რომელიც ამბობს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანო“, მაგრამ ძალიან ბევრი მოყვრები ამისთვის მას მტერა ექცევიან და არ ზოგვენ არა ვი-თარ საშუალობას მისი დაჩაგვისათვის; მესამე მოტივი ამ კორესპონდენტების კატეგორიისა არის შური და სიხარბე.

ჩვენდა საუბედუროდ, ამგვარი კორესპონდენტები ძალიან ბევრია (?) თელავში და უფ. ავტორიც მოხსენებულ კორესპონდენციისა მათ შორის გახლავს.


მამ უფ. ავტორო, ამ წინასიტყვაობით მე წარმოგსთქვი; რომ თქვენი მოქმედობა შესახებ ჩემდა დიდი უსინიღისობაა; თქვენი საწყალი კორესპონდენციის მოტივები პირადი ინტერესები გახლავთ ჩემთან და არა საზოგადო და როდესაც მე თქვენ ამას ცხადათ დაგიმტკიცებთ, მაშინ ხომ ძალიანი უნდა შეგრცხვესთ თქვენ თავის თავის მაინც, თუმც ცოცაოდენი ხირცხვილი მაინც გაქვთ; საზოგადოებას ხომ ემალებით და რა გიჭირთ, ის თქვენ ვერ გამოგიცნობთ და თქვენ მისი უამისოდ არ შეგრცხვებათ.—

ახლა თქვენი კორესპონდენციის შინაარსზე.

თავდაპირველად თქვენ ამბობთ, რომ მეხებით მე, ვითარცა ერთ ყალბ-განათლებულ პედლოღს და მეორეთ თვლით ჩემ ცოდვებს დასამტკიცებლად თქვენი განათლებული აზრისა. ამაზე მე თქვენ ბევრს არაფერს გეტყვით; გეტყვით მხოლოდ მას, რომ როგორც თქვენი სიტყვებიდან სჩანს, თქვენ არ გესმისთ, რა არის ყალბი და ჭეშმარიტი განათლება და რომელი ჩვენგანი არის ყალბ-განათლებული—ის თვითონ მკითხველმა გასაჯოს.

შემდეგ თქვენ ამბობთ ჩემზე:

„ამ პედლოგს სამოქალაქო სასწავლებელში აქვს შეიდი გაკვეთილი რუსული ენისა უსტავის ძალით, ექვსი არითმეტიკისა, ორი გეომეტრიისა, სამი ბუნების შესწავლისა, ორი თუ ერთი სამშობლოს შესწავლისა, ორი ხატვისა და ხაზვისა; ერთიც ისტორიისა; სულ ოც-და-ორი თუ ოც-და-ერთი გაკვეთი-



ლი კვირაში! ამასთანავე, უსტაის ძალით, მას აქვს კვირაში სამი გაკვეთილი გიმნასტიკისა; სულ არა ნაკლებ ოც-და-ოთხის გაკვეთილისა კვირაში!

არ შიძლება, კარგათ აგვიხსნათ, უსტარო, რომელი უსტაის ძალით უნდა ქონდეს სამოქალაქო მასწავლებელს მეორე კლასის უმცროს განყოფილებაში (რომელშიდაც მე ვასწავლიდი; უმფროსი არ იყო) 7 გაკვეთილი რუსული ენისა და ან კიდევ ამავე კლასის ამავე განყოფილებაში? ერთი ისტორიის გაკვეთილი? ამას არ ამბობს და არ იტყვის არაერთარბ უსტაეი, გარდა ამისა, რომელიც იქმნება შეთხუი მარტო თქვენი რთული ფანტაზიისაგან და, რასაკერეელოა, თქვენ მეტს არაეის არ ეცოდინება. ნამდვილი უსტაეი თხოულობს მხოლოდ 6 გაკვეთილს რუსული ენისას მეორე კლასის ორივე განყოფილებაში და ისტორიის პროპედევტიკური კურსის დაწყებას ამ კლასის მხოლოდ უმფროს განყოფილებაში, რომელიც იმ დროს არ არსებობდა. აბა კარგათ გაიგეთ, უსტარო, თქვენი განათლებულ კორრესპონდენტო, და მერმეთ შემატყობინეთ, რომელი ჩვენგანია მართალი. ზავს, რომ თქვენ სიტყუეს არ ეწყობით, როგორც პატროსანი კაცი!

(გაგრძელება)
ლ. ბრიგორაშვილი.

თეალ-საჩინო სწავლა ახლად შესრულის ყმაწვილებსათვის სახალხო სკოლებში. შედგენილი მიხ. შიქინაძისაგან—ფასი 40 კაპ.

ბანჯგვლიანი ფუტკარი—თხ. ავენაროუსისა ნათარ. აღ. აბაზიძესაგან—ფასი 15 კაპ.

ზლახის ნამბობი მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ბამ. არ. საფაროვისაგან ფასი 25 კ.

რამდენიმე სურათი ყახა-

დის ცხოვრები დამ პოემა ილია ჭავჭავაძისა გადმობეჭდილი „საქართველოდან“ ფასი 10 კაპ. **სოლი თუ გინდა ეს არის,** ვოდვეილი მასილ აბაშიძისა ფასი 10 კ. და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани въ зданіи Кашветской церкви, № 1 и 2.

(3—1)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ ამა ბანკის წესდების მე-17 § ძალით, მიმდნარე წლით ოც-და-სამს ოკტომბერს (მწიფობისთვის) ქ. ქუთაისის, ბანკის სადგომზე, ი. ხეჩინოვის სახლებში, საზოგადო ვაჭრობით გაიყიდება უძრავი მამული უ.უ. წერეთელთა დაგირაგებული ხსენებულ ბანკში, ამ მამულზე მიცემულის სესხისამებრ სარგებლის შემოუტანლობის გამო. მამული განთავისუფლდება ვაჭრობისაგან მხოლოდ მაშინ, თუ მემამულეთა, იმავე წესდების მე-19 § ძალით, სრულიად შემოიტანეს სარგებელი და განცხადებაების ხარჯი.

ბეარ-სახელნი მოვალეთა.	რაგვარი მამულია და ან რანდენი მიწა?	სად მდებარეობს მამული.	მამულზე ირიცხება:		
			თანოფულს	სარგებ.ჯარიმოთ.	სულ.
წარმომენი, ბიორგი და დიმიტრი მეთემეს ძენი, ვასილ სიმონის ძე და შტაბსკაპიტანი იოსებ მქროპირის ძე.	სახნაე-სათიბი მიწები, სახელად „სარბევი“, ოცი (20) დესიატინი და 1981 ოთხკუთხედი საყენი.	ქუთაისის უფზღში, სახელდომ წინაველში, რკინის გზის ჩიონის სტაციასთან.	2000	149 80	2141 80

3—1

ბანსხადებანი

ბ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში, ქაშეთის ეკლესიის შენობაში, № 1 და 2. ისწიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

რპ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თშილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 17	8 კაპ.	8 კაპ.	მ-ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 9 აგვისტ.		თშილისის სამკურნალო.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	პავსიხის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	შქე. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 40	თშილისის სამკურნალო.
ბორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდესას, მოსკოვს, პეტერბურგს, ვარშავს	2	შქე. წითელი	1 70	თშილისის სამკურნალო.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	შქე. წითელი	1 35	თშილისის სამკურნალო.
სურამი	1 44		4 90	2 61	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	8 40	თშილისის სამკურნალო.
შერიალა	5 49		7 21	3 69	ინგლისში	3 75	— ამერიკისა, ფუთი.	9 30	თშილისის სამკურნალო.
რიონი	6 57		8 44	4 31	ფოჩტა		ბაეტილი ბამბა ფუთი.	10 60	თშილისის სამკურნალო.
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვრს გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		— მაკული თფური ფუთი.	8 50	თშილისის სამკურნალო.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47			— თრაქსისა ფუთი	4 20	თშილისის სამკურნალო.
ფოთი	9 50		11 24	6 26			აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	თშილისის სამკურნალო.
შოთი	9 3						შონი ფუთი	6 20	თშილისის სამკურნალო.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8			შონის სანთელი ფუთი.	7 50	თშილისის სამკურნალო.
სამტრედია	11 5		2 61	1 33			სტარანის სანთელი ფ.	11 80	თშილისის სამკურნალო.
რიონი	12 13		3 84	1 97			სტარანის სანთელი ფ.		თშილისის სამკურნალო.
შერიალა	1 18	ლამე.	5 3	2 56			— ცხვრისა, ლიტრა		თშილისის სამკურნალო.
სურამი	5 12		1 10	7 34			სპირტი ვედრო	4 50	თშილისის სამკურნალო.
ხაშური	5 39		1 37	7 51			შაქარი ბროც. ფუთ.	7 10	თშილისის სამკურნალო.
ბორი	7 5		4 8	9 24			— ფხვნილი ფუთი	5 70	თშილისის სამკურნალო.
მცხეთა	8 50		6 5	9 11			შავა რგვალი გრვ.	65	თშილისის სამკურნალო.
თფილისი	9 31		7 5	6 12			შეთი ქუნჯუთისა ფუთი.	15 80	თშილისის სამკურნალო.
							თამბაქო საშუალო ფთ.	6 80	თშილისის სამკურნალო.